

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისთვის
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსი“
პირველი ნაკადი

ხშირად დასმული კითხვები

1. დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გაცემული ცნობა უნდა აიტვირთოს ფონდის ვებგვერდზე აპლიკანტის მიერ თუ დაწესებულების დირექციის მიერ?

კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია ფონდის ვებგვერდზე უნდა აიტვირთოს აპლიკანტის მიერ.

2. შეიძლება, რომ წავიდე სტაჟირებაზე 2016 წლის მაგ. თებერვლიდან?

სამეცნიერო კვლევითი სტაჟირება უნდა დაიწყოს 2015 წლის 5 ოქტომბრიდან და უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბრისა.

3. ვარ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორატურის სტუდენტი. მიმდინარე 2015 წლისგაზაფხულის სემესტრში აღებული მქონდა აკადემიური. მაინტერესებს, მაქვს თუ არა უფლებამონაწილეობა მივიღო ამ კონკურსში?

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს.

4. ვარ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი გამარჯვებული, პროექტი ჯერარ არის დასრულებული, მაგრამ მაინტერესებს თუ მაქვს უფლება მონაწილეობა მივიღო უცხოეთშიახალგაზრდა მკვლევართა სტაჟირებაზე გამოცხადებულ კონკურსში?

შეგიძლიათ. აკრძალვა არ არის.

5. რა ფორმით უნდა იყოს სარეკომენდაციო წერილი? შენარჩუნებული უნდა იყოს სარეკომენდაციოწერილის ნიმუშის ფორმა რაც ფონდის გვერდზეა მოცემული, თუ რეკომენდატს შეუძლია დაწეროსრეკომენდაცია ამ ნიმუშის დამოუკიდებლად?

რეკომენდატორმა უნდა შეავსოს ფონდის მიერ შემოთავაზებული სარეკომენდაციო ფორმა.

6. მხოლოდ დოქტურანტურაში ენის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობით უნივერსიტეტიდან თუ შევძლებ ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითისტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში მონაწილეობის მიღება?

კონკურსით უცხო ენის მინიმალური მოთხოვნაა - (საშუალო დონეზე მაღალი დონე-B2 დონე; საერთაშორისო ტესტების შემთხვევაში მინიმალური ქულები იხილეთ კონკურსის პროგრამა და პირობებში.

7. როგორი შეიძლება იყოს სტაჟირების ხანგრძლივობა?

საგრანტო პროექტის მინიმალური ხანგრძლივობაა 2 თვე, ხოლო მაქსიმალური ხანგრძლივობა - 6 თვე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია 7, 8 თვის მოთხოვნაც, რაც მოითხოვს აპლიკანტის მიერ სტაჟირების დამატებითი თვეების დასაბუთებას. (აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დეტალური სამუშაო გრაფიკი სტაჟირების დამატებით თვეებზე და მომწვევი მხარისგან დამატებითი თვეების საჭიროების წერილობითი დასაბუთება)

8. შემიძლია ენის სერთიფიკატის ნაცვლად წარმოვადგინო შესაბამისი დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. ცნობა, რომ 1 წლის განმავლობაში ვსწავლობდი ინგლისურ/გერმანულ ენაზე უცხოეთის უნივერსიტეტში, ან ვმუშაობდი კვლევით ცენტრში)?

შეგიძლიათ

9. შეიძლება თუ არა სტაჟირებისთვის შემოტანოთ ორი სხვადასხვა განახადი, სხვადასხვა უნივერსიტეტში/ცენტრში? ან ერთი თუ დამტკიცდა, შემდეგ შევცვალოთ?

არ შეგიძლიათ.

10 . სტაჟირების რეგისტრაცია რას მოიცავს? სავალდებულოა ბიუჯეტში შევსება?

საჭიროების შემთხვევაში დამატებით დაუფინანსდება მასპინძელ ორგანიზაციაში სტაჟირებისთვის მოთხოვნილი სარეგისტრაციო გადასახადი.